საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №21

18 ივნისი 2020 წ.

ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 67[1] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს თანდართული დებულება.

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ, ღიად განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ბრძანება განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ღია მმართველობის საბჭოს წევრებს.

4. ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა და საჯაროდ გამოცხადება უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტმა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ამოქმედდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

დავით გაბაიძე

,,დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარის 2020 წლის 18 06 N 21 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ღია მმართველობის საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პრეამბულა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - უმაღლესი საბჭო) აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს, მათ შორის ხელი მიუწვდებოდეს უმაღლეს საბჭოში არსებულ ინფორმაციაზე და მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია მოქალაქეთა საკანონმდებლო საქმიანობაში ჩართულობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და შესაბამის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. აღნიშნული უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობისათვის, უმაღლესი საბჭო ქმნის ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საბჭოს.

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. ღია მმართველობის საბჭო (შემდგომში – საბჭო) იქმნება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით. საბჭოს წევრთა რაოდენობა და საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან და უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე.

2. საბჭოს მიზანია ღია მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით უმაღლესი საბჭოს ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუშაობის კოორდინირება.

3. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის არ კონსიტუციით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით, ამ დებულებით და უმაღლესი საბჭოს სხვა აქტებით.

4. საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

თავი II

საბჭოს უფლებამოსილებები

მუხლი 2.

1. საბჭოს უფლება აქვს:

ა) შეიმუშავოს და უმაღლესი საბჭოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგინოს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

ბ) უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;

გ) მოიწვიოს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცესში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და ექსპერტები და შექმნას სამუშაო ჯგუფები;

დ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესასრულებლად განსახორციელებელი ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები;

ე) გამოითხოვოს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი;

ვ) განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის ანალიზი, მოამზადოს წინადადებები და დაგეგმოს ღონისძიებები უმაღლესი საბჭოს ღიაობისა და გამჭვირვალე მმართველობის სრულყოფის მიზნით;

ზ) განახორციელოს უმაღლესი საბჭოს ღიაობისა და გამჭვირვალე მმართველობის, აგრეთვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი და მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები;

თ) არანაკლებ წელიწადში ერთხელ ორგანიზება გაუწიოს უმაღლესი საბჭოს შეხვედრას საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;

ი) განახორციელოს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. საბჭო ვალდებულია:

ა) უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო სესიის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 1 ივლისისა, შეიმუშავოს და უმაღლესი საბჭოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგინოს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი პერიოდისთვის უკვე არსებობს მოქმედი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ბ) უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო სესიის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 1 ივლისისა, საზოგადოებას წარუდგინოს და უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოაქვეყნოს შუალედური ანგარიში უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

გ) წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს საგაზაფხულო სესიის გახსნისთანავე, არაუგვიანეს მარტის პირველ ხუთშაბათამდე, უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგინოს და უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ანგარიში უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის მიმართულებით საქმიანობისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვისა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც უმაღლესი საბჭოს ბიუროს დასამტკიცებლად წარედგინება არაუგვიანეს ღია მმართველობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ვადის გასვლიდან 1 თვისა.

თავი III
საბჭოს საქმიანობის წესი

მუხლი 3.

1. საბჭოს თავმჯდომარეობს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი არყოფნისას თავმჯდომარის დავალებით - საბჭოს ერთ-ერთი წევრი, ხოლო თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, საბჭო დამსწრე წევრთა უმრავლესობით ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს.

2. საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ.

3. საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე, საკუთარი ან არანაკლებ საბჭოს ორი წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.

5. საბჭოს სხდომის დღის წესრიგისთვის საკითხის დამატების თაობაზე წინადადების დასმის უფლება აქვთ:

ა) საბჭოს წევრს;

ბ) საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის წევრს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ წინადადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

7. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომია. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი მტკიცდება, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება და საბჭოს წევრებსა და საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს ელექტრონული ფოსტით ეგზავნებათ საბჭოს სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე.

8. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

9. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. საბჭოს წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

10. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.

11. საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს მუშაობაში, საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით, შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერმა პირმა.

12. ნებისმიერ პირს შეუძლია ღია მმართველობის საბჭოს მიმართოს წინადადებებით, ინიციატივებით, განცხადებებით წერილობითი ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. ასეთი საკითხის დღის წესრიგში დამატება წყდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

13. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების, აგრეთვე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული პანდემიის და საქართველოს ტერიტორიაზე ეპიდემიის გავრცელების აღკვეთის მიზნით, ან/და სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭო შეიძლება შეიკრიბოს დისტანციურად, სათანადო ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, რომელიც იძლევა ხმოვანი და ვიზუალური აღქმის საშუალებას.

14. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ჩატარებული დისტანციური სხდომის წარმართვის პროცედურა:

ა) დისტანციური სხდომის ადმინისტრატორია საბჭოს თავმჯდომარე ან საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი;

ბ) დისტანციურ სხდომაში მონაწილეობის საშუალება ექნება საბჭოს ყველა წევრს, უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელს, საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფს, საბჭოს თავმჯდომარის მიერ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ ნებისმიერ პირს;

გ) სხდომაზე დამსწრე წევრი სხდომის მიმდინარეობისას ადმინისტრატორს ხელის აწევით ან შეტყობინების გაგზავნით ანიშნებს კითხვის ან კომენტარის არსებობის შესახებ (რისი ტექნიკური გამოხატულებაც დამოკიდებულია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებაზე);

დ) საბჭოს წევრი სხდომაზე საკითხის განხილვისას გამართული კენჭისყრის პროცედურის დროს ხელის აწევით გამოხატავს განსახილველი საკითხის მიმართ თანხმობას. თანხმობის ან უარყოფის გამოხატვა ასევე შესაძლებელია კენჭისყრის პროცედურის დროს იგივე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შესაბამისი შინაარსის შეტყობინების გაგზავნის გზით, თუმცა მას შემდეგ, რაც მოხდება საბჭოს წევრის ხმოვანი და ვიზუალური ინდენტიფიცირება;

ე) დისტანციური სხდომა ტარდება ამ დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ყველა წესისა და პროცედურის დაცვით.

მუხლი 4.

1. საბჭო ქმნის საკონსულტაციო ჯგუფს (შემდგომში - საკონსულტაციო ჯგუფი), რომელიც მონაწილეობს საბჭოს სხდომებში, წარუდგენს მას წინადადებებს/რეკომენდაციებს და ეხმარება უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელებაში.

2. საკონსულტაციო ჯგუფის წევრები არიან საერთაშორისო და ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებიც საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობაში წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობენ.

3. საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით.

4. საკონსულტაციო ჯგუფში გაწევრების მსურველი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე წარადგენს განცხადებას, რომელშიც მითითებულია საკონსულტაციო ჯგუფში გაწევრების მოტივაცია.

5. საბჭო განიხილავს საკონსულტაციო ჯგუფში გაწევრების მსურველის განცხადებას და სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული პირის საკონსულტაციო ჯგუფში გაწევრების შესახებ.

6. საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარეს ირჩევენ საკონსულტაციო ჯგუფის წევრები 1 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

7. საკონსულტაციო ჯგუფის სხდომას იწვევს საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარე, საკუთარი ან არანაკლებ ჯგუფის ორი წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

8. საკონსულტაციო ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

9. საკონსულტაციო ჯგუფის წევრი, რომლის წარმომადგენელიც არ დაესწრება საბჭოს ზედიზედ სამ სხდომას, ავტომატურად ითვლება საკონსულტაციო ჯგუფიდან გარიცხულად. იგი საკონსულტაციო ჯგუფის წევრი გახდება განცხადების ხელახლა წარდგენის შემთხვევაში.

მუხლი 5.

საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ და დოკუმენტურ უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი, ხოლო საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეული.

თავი IV

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 6.

1. საბჭოს დებულებას ბრძანებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით.